**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი შვილებითურთ** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 4 დეკემბერს ამა 1892 წლისა ქვაშვეთის **წმ. გიორგის ეკლესიაში** გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლისა მისისა **ფედოსია დავითის ასულის ერისთავის** სულის მოსახსენებლად. (2—2)

## „ივერია"

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ქართული სახალხო ბიბლიოთეკა და სამკითხველო

(არწრუნისეული ქარვასლა, № 36)

შეიძლება წიგნებ-გაზეთების კითხვა და თან წაღება, ყოველ დღე 9 საათიდგან 2-ის და საღამოთი 5—7-ის; მხოლოდ უქმე დღეებში 11—2-ის.

ბიბლიოთეკაში ისყიდება „მოთხრობანი", ქართველ ქალების გამოცემა, „ხუთი ამბავი", საყმაწვილო წიგნი და პირველ წლების „ჯეჯილი".

იქვე მიიღება ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შეწირულობა წიგნებით და ფულით. (5—2)

### დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—20)

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ორშაბათს, 29 ნოემბერს, ავადმყოფი იყო 2 კაცი. იმავ დღეს მორჩა 1 კაცი—მირზა-ალი-ალიზიკ-ოღლი. 1 დეკემბრამდე მიიყვანეს ავადმყოფი ქალი ბარბარე შუღლიძე (საპერნის ქუჩა, არუთინოვის სახლი № 40) ამ ჟამად სამკურნალოში 1 ქალი და 1 კაცია.

ს. მარტყოფში 22—26 ნოემბერს გარდაიცვალა 6 კაცი.

ქ. ლენქორანში 19—26 ნოემბერს ავადმყოფი იყო 2, ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, მორჩა 3, დარჩა 2. მაზრაში იყო 9, ავად გახდა ამ ხანში 26, გარდაიცვალა 9, მორჩა 5, დარჩა 21.

განჯის გუბერნიაში 17—20 ნოემბერს ავად იყო 3, მორჩა 3.

ქ. ერევნის გუბერნიაში 16—23 ნოემბერს ავად იყო 17, ავად გახდა 38, გარდაიცვალა 2, მორჩა 35.

ქ. ზაქათალის ოლქში ავად იყო 3, გარდაიცვალა 2, მორჩა 1.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის საბჭოს 30 ნოემბრის კრებაზედ წაკითხულ იქმნა მოხსენება კომისიისა შესახებ ხორცის ნიხრის შეცვლისა. 28 ნოემბრიდგან გირვანქა ხორცი 6 კაპეიკის მაგიერად 7 კაპეიკი ეღირება. შემდეგ კრებამ განიხილა სამოქალაქო სამკურნალოს დირექტორის ბ-ნ ავთანდილოვის მოხსენება. ბ-ნმა ავთანდილოვმა განაცხადა, ჩემს თანამდებობას თავს ვანებებო. ასევე მოიქცა სამკურნალოს მმართველობაც. ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათობა გამოიწვია: ზოგი ამბობდა, ამ საქციელისთვის ვერც ავთანდილოვსა და ვერც სამკურნალოს სხვა ექიმთ ვერ ვუსაყვედურებთო. ზოგი-კი ამტკიცებდა, ასეთი საქციელი ქალაქის მკურნალთა, რომელთაც ჯამაგირი ეძლევათ ქალაქიდგან და სამსახურშიაც ითვლებიან, დიდის საყვედურის ღირსიაო. კრებამ 18 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 15-სა გადასწყვიტა: საყვედური გამოუცხადოს სამოქალაქო სამკურნალოს დირექტორსა და ექიმებს და ამასთანავე აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო სამკურნალოს საქმეთა რიგიანად მოწყობა. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ი. ა. მალინინი, მ. ს. შახ-პარონიანცი, ზ. ს. ბაბოვი, მ. ი. თამამშოვი და ნ. ი. ნიკოლაძე.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სრულიად განიხილა და დაამტკიცა წესრიგი ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის გამართვისა. ტფილისის საფოსტო მმართველობამ ეს წესები უკვე დაჰბეჭდა და მსურველთ ურიგდებათ კიდეც.

*** როგორც ექიმები ამბობენ, შესაძლოა ხოლერა მერმისაც გაჩნდეს. მარტო ხოლერის მოლოდინი არ აშინებს ტფილისის მაზრას. როგორც ტფილისის მაზრის მმართველობა გვატყობინებს, ჭირნახულის საშინელ მტერს კალიას კვერცხი დაუდვია სართიჭალის საბოქაულოს შემდეგ სოფლებში: ზემო და ქვემო ავჭალას, დიდ და პატარა ლილოს, პატარძეულს, ბერთუბანს, წინანდალს და საგარეჯოში. სულ 14 ათას დღიურს ადგილზედ. ყარაიაზის საბოქაულოში 28 ათას დღიურზე, აგრეთვე ტფილისის ნაწილში ს. თელეთს, დიღომს და წალასყურს. სულ კვერცხით მოფენილ მინდორს 56 ათას დღიურამდე ანგარიშობენ.

კალიის კვერცხის გასაწყვეტად, დაახლოვებით 389,810 მუშა კაცია საჭირო. შემდეგ ნაანგარიშევია ხარჯი, რომელიც 43,110 მანეთია. ბ-ნმა ტფილისის მაზრის უფროსმა თ. ლ. გ. ჯანდიერმა მოახსენა რა ეს უმაღლესს მთავრობას, დასძინა, რომ შეუძლებელია ბრძოლა კალიასთან, თუ ხოლერაც გაჩნდაო, რადგანაც ძრიელ ადვილად გავრცელდება ეს სენი ერთად შეგროვილ მუშათა შორისო.

*** დარუბანდი. ისე თამამად, დაუსჯელად, არსად არ თარეშობენ ქურდები, როგორც დარუბანდში. თუ მოიტაცეს და ხელთ იგდეს რამე, დაზარალებული სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს თავის დაკარგულ ნივთებს. 21 ოქტომბერს აქ გაჰქურდეს მოლა ფეიზულა. ქურდები მივიდნენ მოლას სახლში საღამოს 7 საათზედ და გაიტანეს იქიდგან, როგორც თვითონ პატრონმა მიამბო: ჩოხა ყაზანა, ყაზანჩა, მაქმა, მანდილოსნის ტანისამოსი—სულ 24—25 მანეთად ღირებული. ნოემბრის 10—12 ვილაც იაკუბოვის მაღაზიიდგან გაიტანეს ქურდებმა 1500 მანეთის სალირალი ნივთები. ამ ცოტა ხანში ერთი მედუქნე გაჰქურდეს: მოჰპარეს 30 მანეთის ნივთები.

*** ზესტაფონი. ვერაფერს საქმეს სჩადიან შავის ქვის ვაჭარნი, რომ გლეხ-კაცობას ასე დაუნდობლად ექცევიან. ორმოც-და-ათი ფუთი რომ ჩამოიტანოს გლეხმა მადნებიდგან, იმდენს იზამენ, რომ 15—20 ფუთი მაინც ნაკლები გამოიყვანონ წონაში და ქირის ფული დაუჭირონ. სამწუხარო ის არის, რომ ორიოდ-სამიოდეს მეტი, თითქმის ყველანი ასე იქცევიან და სრულიად არ ებრალებათ მოქირავნე ღარიბი ხალხი.

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

კახეთის რკინის-გზა. — დაუშრეტელი წყურვილი მასლაათისა.—როგორ უნდა ეშველოს საქმეს?

26 ნოემბერს დავესწარ კერძო კრებას, რომელიც მოიწოდა ბ-ნმა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა. როგორც ჩვენის გაზეთიდგან შეიტყობდა მკითხველი, კრებას საგნადა ჰქონდა, გამოაშკარავებულიყო აზრი მცოდნე და გამოცდილ კაცებისა შესახებ იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ კახეთის რკინის-გზის გაყვანა იკისროს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ. ამ კრებაზედ სხვათა შორის მოწვეულნი იყვნენ წევრნი სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისა, რათა გამოეთქვათ თავიანთი შეხედულობა, როგორ და რა გზით შეუძლიანთ დაეხმარონ ამ დიდს საქმეს. კრებამ მოისმინა მოხსენება სამინისტროს რწმუნებულის რადციგისა და აგრეთვე მოხსენება კერძო კომისიისა. ბ-ნ რადციგს გამოუკვლევია ის ადგილები, რომლებზედაც უნდა გაიაროს კახეთის გზამ, გამოუანგარიშებია დაწვრილებით, სად რა საქონელი მოდის კახეთიდგან ტფილისში, რა გვარი და რამოდენა საქონელი მიაქვთ ტფილისიდგან კახეთში. იგი ასახელებს მარტო უმთავრესს საქონელს და ორთა შუა ვარაუდით ამ საქონლის რაოდენობა სამ მილიონ ნახევარ ფუთამდე მაინც იქნება. ამ სახით, შემოსავალი კახეთის გზისა უნდა დაფუძნდეს გადასატან საქონლის ხსენებულს რაოდენობაზე. ამასთანავე ბ-ნი რადციგი ანგარიშობს ხარჯს გზის აშენებისას. გზა იქმნება ვიწრო-ლიანდაგიანი. გამოცდილებამ აჩვენა რუსეთს, რომ ვიწრო-ლიანდაგიანი გზა ჯდება ათას თუმნიდგან ორათას ხუთას თუმნამდე თითო ვერსი. ბ-ნ რადციგის გამოანგარიშებით, კახეთის გზის გაკეთებამ რომ მოინდომოს უდიდესი ხარჯი, ე. ი. ორიათას ხუთასი თუმანი ვერსზე, მაინც ეს გზა ნაღდ შემოსავალს მისცემს მის გამყვანს ექვს პროცენტამდე. კომისია თავის მოხსენებაში ამტკიცებს, რომ ბ-ნი რადციგი მხოლოდ სიფრთხილის გამო ანგარიშობს ერთის მხრივ მცირე შემოსავალს და მეორე მხრივ დიდს ხარჯს, და კიდევ მაინც ამ საქმეში სარგებელსა ჰხედავს. კომისიის აზრით, რაოდენობა გადასატან-გადმოსატან საქონლისა შეიძლება თითქმის ერთ-ნახევრად მეტი ვიანგარიშოთ, იმიტომ რომ თვით გზა ბევრს ისეთს საქონელს აადგმევინებს ფეხსა, რომელიც ეხლა გზის სიძვირისა გამო კახეთშივე რჩება, მაგალითად: ხე-ტყე, პურეულობა, თესლეულობა, შინაური პირუტყვი და სხ. ამასთანავე თვით ხარჯი გზის გაყვანისა თითქმის ერთი-ორად მცირე უნდა იყოს, ვიდრე ამას სიფრთხილისა გამო ანგარიშობს ბ-ნი რადციგიო. ამის გამო, რასაკვირველია, თვით შემოსავალი გზისა უნდა ვიანგარიშოთ ერთი-ორადა და სამად მეტი, ვიდრე ანგარიშობს ბ-ნი რადციგიო. მაშასადამე, ჩვენი თავად-აზნაურობა დიდს კეთილ გონიერებას გამოიჩენს, რომ სთხოვოს მთავრობას და ნება აიღოს ეს გზა თვითონ თავად-აზნაურობამ გაიყვანოს.

* *

რაც ვსთქვი, ეს იყო მოხსენება ბ-ნ რადციგისა და ცალკე კომისიისა. მერე თვით ამ კერძო კრებამ რა დაადგინა, რა გზა გამოიკვლია და როგორის სამზადისით და რა საგძლით წარსდგება სათავად-აზნაურო საგანგებო კრების წინაშე, რომელიც ამ ორს კვირაზედ უნდა მოიწვიოს ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა? აი საკითხი, რომლის პასუხის მიცემა უფრო დიდს სიძნელეს შეადგენს, ვიდრე თვით ამ ხსენებულის რკინის-გზის გაყვანა. აკი მოგახსენეთ, კრება იმიტომ იყო მოწვეული-მეთქი, რომ გუბერნიის მარშალს შეეტყო აზრი მცოდნე კაცებისა? მერე რა სთქვეს ამ მცოდნე კაცებმა? წარმოიდგინეთ, რომ მართლა მცოდნე კაცებს თითქმის კრინტიც არ დაუძრავთ. თქვენ იტყვით, რატომაო, ალბათ გული არ შესტკივათ საქვეყნო საქმეებისთვის და სხ. კრებაზედ რომ არა ვყოფილიყავ, იქნება მეც თქვენის შეხედულობის მოზიარე გავმხდარიყავ. მაგრამ რა მეთქმის, როდესაც მე თითონ ჩემის ყურით გავიგონე ის, რასაც სრულებით არ მოველოდებოდი და რასაც არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონოდა ხსენებულს კრებაზედ. თითქმის ყოველ ჩვენს სათავად-აზნაურო ყრილობას ერთი საშინელი სენი სდევს და უკან და უკან აყენებს, აბრკოლებს იგი სენი ყოველს ჩვენს საქვეყნო საქმეს. მე მოგახსენებთ იმ დაუშრეტელს წყურვილს განუსაზღვრელის მასლაათისას, რომელიც აფიტებს გულს ჩვენთა დაუპატიჟებელ და არ-ცნობილ მოღვაწეთა. რაც გინდ უცნობი საკითხი აღძრათ ჩვენს კრებაზე, ათიოდე ყოვლად უმეცარი კაცი მაინც განაცხადებს სურვილს ლაპარაკისას და ილაპარაკებს იმდენს, ვიდრე ხახა ამოუშრება. რაც გინდ სასპეციალო საგანი იყოს, ხსენებულნი არ-ცნობილნი ორატორნი და საზოგადო მოღვაწენი თითო საათს მაინც ილაპარაკებენ, რომ გული იჯერონ. ჩამოაგდეთ სიტყვა ბისმარკის რთულ პოლიტიკის შესახებ, აღძარით საკითხი ჰეგელის ჩაღრმავებულ ფილოსოფიისა, შეჰკითხეთ ქვეყნის მეცნიერებს, რა მერმისი მოელის კაცთა ნათესავის განწყობილებას მეოცე საუკუნეში, დაასახელეთ არხეოლოგია, ისტორია, ასტრონომია,—ყველაფერზედ მზად დაგხვდებიან ეს ორატორები და ილაპარაკებენ იმდენს, რომ ცხრა ტომარაში ვერ დასტიოთ, და ილაპარაკებენ იმიტომ-კი არა, რომ მართლა სათქმელი ჰქონდეთ რამ, გარნა იმი-

*** დ. ძველი სენაკი: 29 ნოემბერს. ახალ-სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა კრება იყო აქ განზრახულ სამაგალითო სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ. კრებას დაესწრო უმეტესი ნაწილი მთელის მაზრის კეთილ-შობილობისა. კრება დაიწყო შუადღის პირველ საათზე. თამჯდომარემ კრებისამ თავ. ნ. ტ. დადიანმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის სამეურნეო სკოლას. ბევრმა სხვებმაც ილაპარაკეს ამავე საგნის შესახებ. სკოლა უნდა დაარსდეს აქაურს სათავად-აზნაურო სკოლასთან. შენობა სკოლისათვის უკვე მზად არის, მხოლოდ ჭერი და იატაკი არა აქვს გაწყობილი, აკლია აგრეთვე ფანჯრები.

კრებამ ერთ ხმად გარდასწყვიტა, შეიკრიბოს სკოლისათვის 3,500 მანეთი დ ჩაჰბარდეს მაზრის მარშალს ივანე დადიანს. იმასვე მიენდოს გარდასახადისგაწერა თავად-აზნაურთა შორის; კრებამვე აირჩია რამდენიმე ფულის მომკრებნი, რომელთაც უნდა მოჰკრიბონ ფული და ჩააბარონ მარშალს. იმედია, ჩვენი თავად-აზნაურობა ამ კეთილსა და საშვილი-შვილო საქმეში მომეტებულს გულ-კეთილობას გამოიჩენს და ამ ცოტა ოდენის წვლილის გამოღებას არ დაიზარებს, მით უმეტეს, რომ მთელს სენაკის მაზრაში 1,900 თავად-აზნაური ითვლება და 3,500 მანეთის გამოღება ამოდენა კეთილ-შობილთ არ გაუჭირდებათ.

*** განჯა: 2 დეკემბერს. წინ ალამეს განჯის სადგურს ახლო მატარებელ ქვეშ ჩავარდა ჰადიმ-ალა-ოღლი. მატარებელმა მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** დ. ოჭუმი, (სამურზაყანო). ჩვენს დაბაში მოსამსახურე-მოხელეებიანად ერთად 306 მოსახლე იქნება. აქ გამართულია ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლად ივ. გეგიაა. ამ სკოლის კურს დამთავრებულთ წელს სოხუმის მთიულთა სკოლაში ეგზამენი კარგად დაიჭირეს და მიღებულ იქმნენ. ამ დღეებში აქ გვესტუმრა ზედამხედველი ზემოხსენებულ სკოლისა ბ-ნი ბოღდანოვი, რომელმაც სამურზაყანოს სხვა-და-სხვა თემიდგან ამორჩეულ დეპუტატებს სთხოვა,— შემწეობა აღმოგვიჩინეთ და სოხუმის სკოლა ხუთ-კლასიან სახელოსნო სკოლად გადავაკეთოთო. დეპუტატები ოცი-ათას მანეთის ყოველ-წლიურ სარგებელს დაჰპირდნენ სკოლის უფროსს ამ კეთილის საქმისათვის... მეორე დღესვე საერო თემთა ყრილობა მოახდინეს ჩვენს დაბაში და ასე გადასწყვიტეს: ოცი ათასი მანეთის შესაგროვებლად მთლად სამურზაყანოს მცხოვრებთაგან თავად-აზნაურთა თითოეულ მოსახლემ სამი მანეთი და გლეხთა თითოეულმა მოსახლემ მანეთ-ნახევარი გადიხადოსო. ბ-ნ ბოღდანოვის თაოსნობით ჩვენს პაწია ქალებსაც სწავლის ტაძარი გაეღოთ. სამურზაყანოს ნაწილის მმართველის მეუღლემ, ბ-ნ ბოღდანოვის თხოვნით, თავის სახლში ერთი ოთახი დაუთმო პირველ-დასაწყისს დედათა სკოლას და უსასყიდლოდაც ასწავლის. აგრეთვე უსასყიდლოდაც ასწავლის პაწია ქალებს გეგიას ქალი. პირველ დღესვე 12 ქალი შეგროვდა... აქვე არ შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიოთ პატივცემული მასწავლებელი ჩვენის დაბისა, ზემოთ მოხმენებული ივ. გეგია, რომელიც მშვენივრად ასწავლის შეგირდებს რუსულ გალობასთან ერთად ქართულსაც და აგალობებს ეკკლესიაშიც.

*** ბათუმი, ამ 10—12 წლის განმავალობაში გაიზარდა და რუსეთის სხვა ზღვის ნაპირა ქალაქებს არაფრით ჩამოუვარდება. ბათუმის ნავთ-სადგურიდგან ყოველ წლივ 60 მილიონამდე ფუთი ნავთი იზიდება ინდოეთს, ჩინეთს, იაპონიას და ევროპაში. ნავთ-სადგური მუდამ სავსეა დამწკრივებულ ცეცხლის-გემებით, რომლებიც იტვირთება ნავთით; თითოეული დიდი ცეცხლის გემი 200-300 ათას ფუთს ნავთს იტევს. ნავთის გარდა ბათუმიდგან ამ გემებს მიაქვთ ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწარმოებიც: ხორბალი, სიმინდი, ქიშმიში, ბრინჯი, კაკლის კუნძები, მატყლი, ძირტკბილა, ბამბა, ტყავები და აბრეშუმი. ამნაირად ბათუმიდგან უცხოეთში გააქვთ რამდენისამე ას მილლიონ მანეთის ნაწარმოები ჩვენის ქვეყნისა. სამაგიეროდ იმავე ცეცხლის გემებს ბათუმში მოაქვთ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხისათვის სავაჭრო-სამრეწველო საქონლები: რკინეულობა, სხვა-და-სხვა ნაირი თუნუქა, ტყვია, კალა, ფოლადი, თუჯი, მავთული, ავეჯეულობა, სოდა, გოგირდი, სასმელები და ბევრი სხვა რამ. ასეთს განცხოველებულ ვაჭრობას ბათუმის შუამავლობით უცხოეთ სახელმწიფოთა და ჩვენ ქვეყანას შორის შეუქმნია აქ მრავალი სავაჭრო-სამრეწველო კანტორები, სააგენტოები, ქარხნები, ფირმები და ყველა ამ დაწესებულება-საქმეთათვის აუცილებელი ბურჯი— მუშა ხალხი... ამათი რიცხვი, წლევანდელის წლის გარდა, ყოველთვის მეტია მოთხოვნილებაზე, ამიტომ სამუშაო-დღიური ფასი თანდათან კლებულობს, წლიდგან—წლამდე... დიდი ხანია მოვაჭრე-მექარხნეებად აქ არიან ცნობილნი: ურიები, სომხები და გერმანელები. მუშებად, ნოქრებად და სხვა წვრილმან მოხელეებად ყველა ტომისა, სარწმუნოების და თითქმის ყველა ქვეყნის კუთხიდგან იპოვით აქ რამდენსამე ათ-ოცს კაცს მაინც. ამიტომ 12 სხვა-და-სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელნი—ელჩნი არიან ბათუმში: ევროპიის თითქმის ყველა სახელმწიფოებიდგან და ამერიკიდგანაც-კი.

*** სოფ. ხიბულიდგან (ზუგდიდის მაზრა) „Н. О.“ს სწერენ: ღამე, 24 ნოემბერს დაეცნენ, ავაზაკები აქაურს მედუქნეს ანტონ კარცხიას. საქმე ასე გახლდათ: ჯერ საღამოთივე მივიდა მედუქნეთსან ვიღაც უცნობი და სთხოვა, ამაღამ დუქანში დამაძინეო. კარცხიამ უარი უთხრა, უეჭველად საეჭვო კაცი ეგონა. ამ დროს უცებ დუქნის კარები შემოანტვრიეს, რვა კაცი შემოეხვია გარს მედუქნეს და დაუწყეს ფულის თხოვნა. ერთი იმ ავაზაკთაგანი ახლო არ ეკარებოდა კარცხაიას, ალბად იმიტომ, რომ მედუქნეს არ ეცნო. უბიდგან კარცხაიამ ამოიღო 40 მანეთი და მისცა. მაგრამ კარებში მდგომმა ავაზაკმა ანიშნა ამხანაგებს, მაგას ფული ბევრი აქვსო. დაუწყეს ცემა-ტყეპა საწყალს და ერთმა მათგანმა კონდახი დაჰკრა თავში. მედუქნემ ლეიბიდგან ამოიღო 150 მან. და ისიც მისცა. ამას შემდეგ ავაზაკები წავიდნენ და ერთი მათგანი-კი ყარაულად დააყენეს; ყარაულმა ცალკე დაუწყო ტანჯვა-წვალება საბრალოს, რომელიც გათოკილი ეგდო, ხან სცემდა, ხან ხანჯლით სერამდა, რა არი მეც ცალკე გამოვცინცლო რამეო, მაგრამ ვერაფერი მიიღო. გათენდა და ყარაულმაც გაჰქუსლა. ერთი იმ ყაჩაღთაგანი თურმე იკვეხოდა, მაცი პიპია ვარ, ბოქიულს ასე მოახსენეთ ჩემ მაგიერადაო. მდევარმა კვალი ვერ აღმოაჩინა ავაზაკებისა.

მესამე დღეს ბრბო იგივე ყაჩაღებისა დაეცა გრიგოლ ქავთარაძის სახლს. სახლის პატრონი თოფის სროლით დაუხვდა, ავაზაკებმა ვერა დააკლესრა.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ ერთგულის სამსახურისათვის მეორე ხარისხის ორდენი წმ. ვლადიმერისა: ტფილისის სახელმწიფო პალატის სტოლისუფროსს ნადვორნი სოვეტნიკს დავით ჩივაძეს. იმავე პალატის სტოლის უფროსის თანაშემწეს ტიტულიარნი სოვეტნიკს მიხეილ დეკანოზიშვილს, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, პოდპორუჩიკს კონსტანტინე წულუკიძეს, კოლლეჟსკი სოვეტნიკს გორის მაზრის უმფროსის თანაშემწეს დავით მაღალაშვილს, კოლლეჟსკი ასესორს ალექსანდრე სუმბათიშვილს, დუშეთის მაზრის დისტანციის ჩაფართა უმფროსს თ. ყარამან ფაღავას და არუშის მაზრის პოლიციის ბოქაულს არჩილ ბერიძეს.

## ბენეფისი მ. ე. ენგლუნდისა

(1 დეკემბერი)

საფაროვ-აბაშიძის მიერ მოწვეულ საოპერეტო დასის თვალ-მარგალიტია ქ-ნი ენგლუნდი. ყოველი მისი გამოსვლა სცენაზედ სრული გამარჯვება იყო არტისტი-ქალისა. მაყურებელი სრულიად მოინადირა, გააგიჟა, გაიტაცა, განსაკუთრებით ახალგაზდები და მოხუცნი, რომელნიც დიდად ცდილობენ „ახალგაზდობა“ კვლავ დაიბრუნონ. ქალბატონს ენგლუნდს თაიგულებს და ძვირფასს საჩუქრებს ბზესავით უძღვნიდნენ ხოლმე. მერე რითი მოინადირა გული ამ პაწაწკინტელა მომღერალმა ქალმა? რომ ვსთქვათ, საუცხოვო ხმა აქვსო, ტყუილი იქნება. მაღალი ხმა არ უვარგა, ხრინწიანია, შუათანა-კი მშვენიერია. მაგრამ საქმე ამაში არ არის. ქართულად ვერ მოგვიხერხებია და რუსულს მოვიხმართ. ენგლუნდი ისეთი „შიკით“ თამაშობს სცენაზედ, რომ დარბაისელსაც-კი უნებლიედ შეაყვარებს თავს და გაიტაცებს. სულ შვიდჯერ თუ რვაჯერ უთამაშნია და ყოველთვის თეატრი სავსე ყოფილა ხალხით.

აი სწორედ ამ გვარი არტისტ-ქალის ბენეფისი იყო დანიშნული 1 დეკემბერს. ხალხი მრავლად მოაწყდა თეატრს, სურდა ღირსეულად დაეჯილდოვებინა თავისი მასიამოვნებელი. თეატრში ნევსის კუნწი არსად ჩაიგდებოდა. უეჭველია, ქ-ნი ენგლუნდიც მოელოდა, რომ ბენეფისში დიდ პატივისცემას გამიწევენო... დასი თამაშობდა ოდრანის ოპერეტს, „ნატვრის თვალი“. ეს ოპერეტი ჩვენმა საზოგადოებამაც კარგად იცის, ქართულად ორჯელ-სამჯერ უთამაშნიათ. ამ საღამოს მ. ე. ენგლუნდი საზოგადოების ნამდვილ ნატვრის თვალად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ ბენეფისი ბენეფისს არა ჰგავდა. არტისტს რაღამაც შეუშალა ნივრი.

---

ტომ, რომ ყოველთვის ლაპარაკის მადაზედ ბძანდებიან. მოდით ეხლა და, ამისთანა მადიან ხალხის შემაყურებელთ, დასძარით ენა. ასეც მოხდა ხსენებულს კრებაზედ. ვისაც მართლა ჰქონდა რამ სათქმელი, ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა, და ჩვენ დიდის მოთმინებით მოვისმინეთ მუსაიფი მხოლოდ იმათი, რომელნიც ვერცა რას საფინანსოს და ვერცა რას სატეხნიკო რჩევას ვერ მისცემდნენ ბ-ნს გუბერნიის მარშალს. ამის მნახველს, მე ძალიან მეფიქრება, რომ საგანგებო კრებაზედაც მაგდენს ვერას გამოარკვევს ჩვენი თავად-აზნაურობა, და სამართლიანადაც მეშინიან, რომ ვაი თუ ეს ჩინებული შემთხვევა გავუშვათ ხელიდგან, რკინის გზის გაყვანა აგვცდეს და ყბადაღებულნი დავრჩეთ ამ საკეთილო საქმეში. კრებაზედ რომ მივდივართ, გვავიწყდება საგანი კრებისა, გვავიწყდება მცირე ზრდილობაც-კი, რომლის ძალითაც ჩვენს თავს უნდა წინადვე შევეკითხოთ, გაგვეგება საქმისა რამ, თუ არა, ვიტყვით იმისთანა რასმე, რომ თვალის ახილება გავუადვილოთ კრებას, თუ ვერ ვიტყვით, და ის ღა გვახსოეს, რომ ეგება ვსთქვათ რამ, ვამუშაოთ ენა, ვიდრე დაგველლებოდეს. ღმერთმანი, გაგაჩერებთ ვინმე-რა: ქართველები ვართ, ერთმანეთისთვის სულსაც არ დავიშურებთ და აბა ლაპარაკის ნებას ვის არ მივცემთ! არც მორიდება, არც ხათრი ამეებში ჩვენ არ ვიცით, და ჩვენი უბედურებაც სხვათა შორის ამაშია სწორედ. არა გვაქვს ხალისი გავიგოთ რამ მცოდნე კაცებისაგან, არ შეგვიძლიან ყურის გდება.

**

რკინის გზის გაკეთებას უნდა ფული და სატეხნიკო ცოდნა. ფული რომ საშოვარი არა გვქონდეს, მაშინ ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, რადგან ფულით გზებსაც გავიყვანთ და გემებსაც გავაკეთებთ. ტეხნიკის მცოდნე ხალხს ხომ ჩეჩქივით შევყრით, საიდგანაც გვინდა, თვით ამერიკის ტეხნიკებსა და ინჟენერებსაც მოვიწვევთ. მაგრამ როდესაც სულს გარეთ არა გვაბადია-რა, როდესაც ფულის შოვნა ჩვენთვის დიდად გასაჭირს და რთულ გამოცანას შეადგენს, რაღა დაგვრჩენია ამ შემთხვევაში? მხოლოდ ისა, რომ სულ-განაბულებმა ყური ვუგდოთ იმისთანა კაცებს, ვისაც საქმისა ცოტაოდენი მაინც გაეგება. ერთი განვითარებული კაცი იტყვის თავისას, მეორე წაუმატებს რასმეს საკეთილოს და ამ სახით უმეცართათვისაც გამოირკვევა საგანი. მარტო ამ ნაირადა კეთდება ქვეყანაზედ საკეთილო და რთული რამ. უამისოდ ძნელია ფეხის გადადგმა.

ამ ორის წლის წინად ავჭალის ქუჩაზედ ცხენის რკინის გზა გაიყვანა ბ-ნმა ყორღანოვმა. არავისთვის დაფარული არ არის, რომ ამ კაცმა ეს საქმე უგროშ-უკაპეიკოდ მოიყვანა სისრულეში. ბ-ნი ყორღანოვი დაესწრო ხსენებულს კრებას. იგი, როგორც აზნაური ტფილისის გუბერნიისა, ურჩევდა თავად-აზნაურობას— კახეთის გზა ხელიდგან არ გაუშვათო. ამასთანავე იმანა სთქვა, რომ კახეთის გზას ოთხი მილიონი-კი არ მოუნდება, ორი მილიონიც თავსა სდისო, და წარმოიდგინეთ, ამ გამოცდილს კაცს არც-კი ათქმევინეს, არც-კი ჰკითხეს, რაზედ აფუძნებს იგი ამისთანა სახარბიელო ანგარიშს! ოღონდ-კი მე ვილაპარაკო ბრწყინვალე კრებაზეო, და ძალიან საჭიროა, ხეირიანს რასმე ვიტყვი თუ არაო— ასეთის ფიქრით მიდის ქართველი კაცი კრებაზედ. ეს რად გინდათ. კერძო კომისია ურჩევს თავად-აზნაურობას: გადმოიტანეთ თავად-აზნაურთა სახელობაზედ ბანკის ქარვასლაო, გადააგირავეთ, აიღეთ ოცი ათასი თუმანი, დ მაგით შეუდექით რკინის გზის გაყვანასაო. ფიქრადაც არავის მოჰსვლია ეკითხნა კომისიისათვის—ემაგოდენა შეძლება რომ გამოაცალო ხელიდგან ბანკსა, როგორ-ღა უნდა აწარმოვოს ამ საიმედო დაწესებულებამ თავისი ალებ-მიცემობაო? დღეს ეგ ბანკი უტყუარს მოგებას იძლევა და ზურგს აძლევს ჩვენს კეთილდღეობას მხოლოდ იმიტომ, რომ მკვიდრი ნიადაგი გაიკეთა ბირჟაზედ. თუ-კი მაგ ნიადაგს შეარყევთ, მოახერხებს-ღა ბანკი თავის საქმეების გაძღოლასაო? მოახერხებს-ღა, რომ უფრო ნამდვილი და უკეთესი სამსახური გაუწიოს თვით მაგ კახეთის გზასაო? ან რა ჭკუაში მოსასვლელია, რომ კაცმა ერთი აშკარა საკეთილო საქმე მსხვერპლად შესწიროს მეორე თანაბარ საკეთილო საქმეს? აკი ვამბობ, ამისთანა რთული საგნები ჰქონდა თვალწინ კრებას და, ნაცვლად მათის გამორკვევისა, ყველა იმასა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ვილაპარაკო, გინდაც რომ ჩემი ნალაპარაკევი ახლოც არ ეკარებოდეს კრების საგანსაო.

ჩემის აზრით, კარგს ინებებდა ბ-ნი წინამძღოლი გუბერნიის თავად-აზნაურობისა, რომ ეს რთული საქმე ეხლავე მიენდო ტფილისის ცნობილ ფინანსისტებისთვის, მცოდნე ინჟენერებისთვის, მოეწვია გამოცდილი კაცები და მათის შემწეობით შეემუშავებინა როგორც პროექტი იმ ღონისძიებათა, რომელნიც შეაძლებინებენ ჩვენს თავად თავად-აზნაურობას საჭირო ფულის შოვნას, აგრეთვე იმ პირობათა, რომელიც გზის გაყვანას საკეთილოდ და სასარგებლოდ ჩაუტარებენ თავად-აზნაურობას. ამ გზით ბ-ნი წინამძღოლი ნამდვილს სამსახურს გაუწევდა ჩვენს ქვეყანას და საქმეც წინ წადგებოდა. რაიცა შეეხება მომავალს საგანგებო კრებას, იგი მოისმენს მოხსენებას ამ მცოდნე კაცებისას, ეცდება არ დაჰკარგოს დრო „რეჩების“ მოსმენით და, თუ ჭკუაში დაუჯდება განვითარებულ კაცების აზრი, აიღებს და მიართმევს თხოვნას სამინისტროს, რომ ეს ჩინებული საქმე თავად-აზნაურობას არ გამოეცალოს ხელიდგან და პირში ჩალა გამოვლებულნი არ დავრჩეთ მასლაათის გადაჭარბებულ მოყვარულობის გამო.

სანო

გუნებაზედ არ იყო, არ ვიცით რამ გააგულისა, თეატრის ადმინისტრაციამ, თუ თვით ოპერეტი არ აღმოჩნდა მისი ნიჭის შესაფერი. საზოგადოება სულ-განაბული ელოდდა საყვარელ არტისტს და არტისტმა-კი ვერ გაამართლა მისი იმედი. თამაში უხეირო, უგულო, უსულო, უსიცოცხლო გამოვიდა. ხალხი განცვიფრდა, თავის დამაბრუებული ტაშის ცემა არა ყოფილა. საჩუქრები ბევრი მიართვეს, მაგრამ გულ-ცივად, გულ-გრილად. ზემოდან თოვლსავით ცვიოდა ძირს თაიგულები, ცლბეჭდილი ქაღალდები, ერთზედ, მაგალითად, ეწერა: Yiva, საკვირველო ენგლუნდ, ნუ დაგვაობლებო, ნუ მოგვშორდებით, ხომ იცით, რომ ტფილისელებს უყვარხართო.

თვით არტისტიც შეკრთა, დაიბნა, არ მოელოდა ყინულივით ცივს დახვედრას და, როგორც განებივრებულ და გასათუთებულ ბავშვს დაემართება ხოლმე, ისე მოუვიდა, ბოლოს ცრემლს მიმართა. პიესის დასასრულს არტისტი-ქალი ფეხზე ძლივსღა იდგა, ფარფატებდა, სული უგუბდებოდა, რამდენჯერმე ცივი წყალი დალია და გამშრალი პირი ჩაისველა. ამ დროს ენგლუნდი სწორედ შეგებრალებოდათ და ბევრსაც შეეცოდა...

მაინცა და მაინც თაყვანის მცემლები უმზადებდნენ ოვაციებს. გარედ ქუჩაში არტისტ-ქალს ელოდა რუსული „лихая тройка“, თუმცა „კავკაზის“ სასტუმრომდე ერთი საბლის მანძილია. დასასრულ იმავე სასტუმროში მშვენიერი ვახშამი მოემზადებინათ, რომელზედაც მიიწვიეს „ლიტერატორები“, თანამშრომელნი ორის ადგილობრივის რუსულის გაზეთისა. ვნახოთ, როგორ აგვიწერენ იმ „არტისტულ ვახშამს“ ჩვენი ენა-მახვილნი ლიტერატორნი.

---

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ**

(1 დეკემბერი)

კრება დაიწყო საღამოს $7^1/_2$ საათზედ. მკურნალთა რიცხვი საკმაოდ იყო (40-ზედ მეტი). მაგრამ გარეშე საზოგადოება თითქმის სულ არ დასწრებია ამ კრებას, თუმცა ეს კრება ინტერესს არ იყო მოკლებული.

კრებამ პირველად მოისმინა ბაქოს მკურნალთა თხოვნა ამ საზოგადოების მიმართ იმის შესახებ, რომ თქვენი წესდება გამოგვიგზავნეთ, რადგან განზრახვა გვაქვს ბაქოში, თუ ნებას დაგვრთამთ, „მკურნალთა საზოგადოების“ განყოფილება დავაარსოთო. უმრავლესობა კრებისა აი რა აზრისა იყო ამის შესახებ: ბაქოს მკურნალნი იმიტომ გვთხოვენ ჩვენის საზოგადოების განყოფილებად მივიღოთ მათი ახალ დასაარსებელი საზოგადოება, რომ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოთ წიგნებითა და მათი ნაწერ-ნაშრომთი ვბეჭდოთო, ხოლო ამას ჩვენი საზოგადოება ვერ იკისრებს მარტო ბაქოს მკურნალთა შესახებ, რადგან ქუთაისშიაც დაარსდა ასეთივე საზოგადოებაო. ეს საგანი გაურკვეველ-გარდაუწყვეტელი დარჩა.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა ის საგანი, თუ როგორ იდღესასწაულოს გამოჩენილ მეცნიერის „პასტერის“, 70-ის იუბილეი 12 დეკემბერს. კრებამ გარდასწყვიტა: 12 დეკემბერს სამკურნალო საზოგადოებამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს პასტერს პარიჟში და 15 დეკემბერს პასტერის პატივსაცემლად საგანგებო კრება გაჰმართოს. ამ კრებაზედ წაკითხულ იქნება: 1) პასტერის ცხოვრება და მოღვაწეობა (წაიკითხავს ექიმი ლუნკევიჩი), 2) პასტერი, როგორც ბაცილების აღმომჩენი და „ბაქტერიოლოგიის“ დამაარსებელი (წაიკითხავს ექიმი ფილკელშტეინი) და 3) პასტერის მიერ პარიჟში დაარსებულ ცოფის აცრის ინსტიტუტის შესახებ (წაიკითხავს ექ. რუბენკო).

შემდეგ წაკითხულ იქმნა თხოვნა წარსულ წელს ახლად დაარსებულ საზოგადოებისა, რომელსაც განზრახვა აქვს ამ წელს სამკურნალო და საჰიგიენო ლექციების კითხვა გაჰმართოს დაბალ ხალხისათვის და ამიტომ სამკურნალო საზოგადოებასა სთხოვა, ამ საქმეში დაგვეხმარეთო. კრებამ ეს თხოვნა შეიწყნარა და ამ საქმისათვის ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო ეს საქმე. კომისიას შეადგენენ: პანტიუხოვი, ლუნკევიჩი, გეიდემანი, ტარსაიძე და არტემიევი, რომელთაც დაავალა: ადგილობრივ — ქართულსა და სომხურ ენებზედ ლექციები წაიკითხეთ ხოლმეო.

დასასრულ კრებამ ძველ ხ ზინადარის მაგივრად ამოირჩია ხმის უმეტესობით ექიმი მელიქოვი. კრება ღამის 11 საათზედ დაიშალა.

---

# უცხოეთი

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.** თუ საფრანგეთში იყო სამინისტრო კრიზისი, იტალიაშიაც დღე-დღეზედ ამასვე მოელიან. იმას გარდა, რომ თვით მინისტრთა შორის დიდი უთანხმოება არსებობს და ისიც გაზეთების სიტყვით, სულ საყურადღებო საგნების გამო; იმის გარდა, რომ ჯიოლეტიმ მინისტრთა თავმჯდომარემ, გუშინდელი დაპირებანი სრულიად დაივიწყა და ხარჯიკი არ შეუმსუბუქა ქვეყანას, კიდევაც ახალ-ახალს ხარჯს ადებს კისერზედ ისედაც გაღატაკებულ ხალხს; ამას გარდა, ვამბობთ, ისე იქცევა ეს მართლა და უცნაური სამინისტრო, თითქო აღარც საზოგადოების რიდი ჰქონდეს, აღარც მწერლობისა. ჯიოლეტის ჰნებავდა ოთხივე თავისი მომხრე აერჩევინებინა სენატორებად და, როდესაც ერთი მათგანი სენატმა არ ინდომა, მინისტრთა თავმჯდომარე დაჰპირდა, სენატი რა არის, მე მინდა და შენ სენატორი უნდა იყოვო. ამგვარი მასხარად აგდება სენატმა ითაკილა, მაგრამ პასუხად ჯიოლეტიმ ის უთხრა, რომ სამსახურს თავს დავანებებ, თუ ჩემი კანდიდატი არ მიგიღიათო. ამ საქმის გამო, სენატის თავმჯდომარე თურმე თავს ანებებს სამსახურს, და, თუ ეს ამბავი გამართლდა, ვეღარც აწინდელი სამინისტრო იხეირებს, ვგონებთ.

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ.** ავსტრი-ვენგრიის საპარლამენტო ცხოვრებაც ამგვარივე სამარცხვინო საქმეებით არის სავსე. დღე არ გავა, გერმანელებმა და სხვა ერთა წარმომადგენელებმა ერთმანეთი არ გაჰლანძღონ, მუშტმოღერებულნი და პირ-დორბლიანნი არ უყვიროდნენ ერთმანეთს—თქვენ მამულის და სამშობლოს მოღალატენი ხართო. გაყრა-განცალკევებას, თუნდა ერთმანეთის თანხმობით ხდებოდეს, მაინც ერთი აყალ-მაყალი და ვაი-ვაგლახი მოსდევს; ხოლო როცა გაყრა-გაცალკევება სწარმოებს თვით სახელმწიფოს ერთა შორის, როცა სახელმწიფოში ერთი ერი დაკარგულ ბატონობასა სტირის, და მეორე, ახლად შეძენილ თავისუფლებით გახარებული, ძველ ჰრილობას იგონებს და ნაბატონარის სისხლით ვერ გამძღარა, ცხადია რა ვაი-ვაგლახსა და ორონტრიალს ასტეხავს. სად არის ჯერ გაყრა განცალკევებაო? იტყვიან. დააკვირდით დღევანდელ ავსტრი-ვენგრიას, შესუსტებულ გერმანელებს და პოლიტიკურად დაუძლურებულ ერთ, რომელნიც გუშინ მონებად მიაჩნდათ, და დარწმუნდებით, რომ ეგ გაყრა-განცალკევება უკვე დაიწყო. თვით გერმანელები ჰგრძნობენ ამ გარემოების აუცილებლობას და, ვითომ დემოკრატულ აზრების მიმდევარნი, დამონებულ ერთ ურჩევენ, თავი დაანებეთ პოლიტიკურ თავისუფლებას, გონებრივი, ზნეობრივი, ქონებრივი წარმატება და განვითარება სძებნეთ და თუ ამას შეიძენთ, თქვენი პოლიტიკური წადილიც განხორციელდება, რადგან ეგ განათლების შედეგიაო. კარგი და პატიოსანიო, უპასუხებენ დამონებული ერნი, მაგრამ როგორ გნებავთ ურჩიოთ წიწილას, 21 დღის შემდეგ ნუ დაამტვრევ კვერცხს და ნუ გამოხვალ, ჯერ ძალ-ღონე მოიკრიბეო.

**ᲑᲔᲚᲒᲘᲐ.** სენატის სარევიზიო კომისიამ გადასწყვიტა, პოლიტიკური უფლება მიენიჭოს ყველა მამა-კაცს, ვისაც-კი თავის სამხედრო სამსახური შეუსრულებია და კარგი მოწმობა მიუღია, და მეორე, ყველა მამა-კაცს, ვისაც-კი სამი შვილი ჰყავს და 30 წლისა არის. ამასთან თავისი პოლიტიკური უფლებანი ყველამ უნდა იხმაროს და აასრულოს მოქალაქებრივი ვალდებულება, თუ-კი კანონით არ არის ამ უფლებას მოკლებული. ამ გვარად ერთი წადილი, რომლისთვისაც დიდი ხანია იბრძვის მუშა ხალხი, დღეს აუსრულდა, თორემ, აქამდა საკმარისი ქონება არა მაქვს, არც სამშობლო გეყვარებაო, მას ნება არა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ ეროვნებაში გარეულიყო და თავისი თითონვე ეთქვა პალატაში. დეპუტატებად მხოლოდ შეძლების პატრონები იყვნენ და მუშა-ხალხის ბედიღბალს ისე სჭრიდნენ, როგორც შეჰფეროდა ანდაზას—მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო. ერთი დასი იძახდა—საკმარისია კაცს სულ მცირედი განათლება ჰქონდეს, რომ სრული პოლიტიკური უფლებანი მივანიჭოთო, მაგრამ ეს აზრი დაწუნებულ იქმნა. უმეტესობამ, 12 წევრმა არ ინდომა ამის შესახებ ან ჰო ეთქვა და ან არა. ოთხმა წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ ერთი იყო ამ აზრის მომხრე. ჩვენის აზრით ამ საგანს განათლებაზედ უკეთესს საფუძველს ბელგია ვერას დაუდებდა. სამხედრო სამსახური კარგად აასრულაო, ეს კარგია ყაზარმებში, ესე იგი, გერმანიაში, და არა პატარა სამეფოში, საცა უმთავრესი ყურადღება სწავლა-განათლებას აქვს მიქცეული, საცა სამეფო ზრუნავს ყოველ ნაირ განვითარებისათვის და არა მხოლოდ ჯარის-კაცთა გამოსაზრდელად.

---

# წვრილი ამბავი

პარიჟის ერთს ქუჩაზედ გაუმართავთ თბილის წყლის სადრეკნები. ვისაც თბილი წყალი უნდა, ცელსიის ტერ-მომეტრის 65 გრადუსისა, 5 სანტიმს დასდებს სადრეკნის მანქანის მილზე, საიდგანაც მხოლოდ 8 ლიტრი თბილი წყალი გადმოისხმის, ესე იგი იმდენი, რამდენიც გერგებათ გაღებულ ფულში.

1870 წელს დიდად გაძლიერდა ინგლისში ირლანდიელ ფენიებისაგან ათვეთქება სახლებისა ინგლისის სახელმწიფოს გავლენიან კაცთა და მათი დაშინება-მოკვლაც. ფენიებს სდევნიდნენ, როგორც მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრების დამრღვეველთ. თავ-გამოდებულ ფენიებ შორის ითვლებოდნენ: ალენი, ლარკანი და ობრაიენი, რომელნიც მანჩესტერში დასჯესცეს. ამ სამ წამებულ ფენიების, გარედ წოდებულ, „მანჩესტერის მოწამეთა“ მოსახსენებლად ამ დღეებში დიდი ამბავი იყო ირლანდიის ქალაქ დუბლინში. ათი-ათასზე მეტი კაცი წავიდა ამ დღეს გლაზნევინის სასაფლაოზედ, სადაც დასაფლავებულ არიან და განასვენებენ ზემოთ მოხსენებულნი ფენიები, ეს ირლანდიის ერისათვის ტანჯულნი.

— აქამდე ევროპის სახელმწიფოებში უოველგან მხოლოდ „საურთიერთო დახმარებისა“ და „თავის მკვლელთა“ საზოგადოება არსდებოდა. ახლა-კი ინგლისში დაუარსებიათ ერთი საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს—წინ-და-წინ იღონოს რამე იმ კაცთათვის, რომელთაც თავის-მოკლა განუზრახავთ. ამ საზოგადოების წევრნი მთელი დღე, დილიდგან დაწყებული საღამომდე, უოველგან, საცა-კი იქნებიან, თვალყურს ადევნებენ უველას და, თუ ვისმე შეატყეს შეშლილია, ტვინი აქვს შერყეული, ერთის სიტყვით თავის მოკვლის განზრახვა აქვსო, მაშინვე აცნობებენ ამ ახლად დაარსებულ საზოგადოების თავმჯდომარეს, რომელიც საჭირო წესს იღონებს, რომ შენიშნულმა კაცმა თავი არ მოიკლას. ამ საზოგადოების საწევრო ფული, წლიურად შემოსატანი მუშებისათვის ერთი შილინგია.

— გაზეთ „Matin“-ში სწერია: სათოფხანო ქარხნის მუშებმა შტეირში (ავსტრიაში), რომელთაც ქარხანაში არ იღებდნენ, დაადგინეს, ბრაზილიაში გარდასახლდეთ, ერთიანადაო.

— შეერთებულ შტატების პრეზიდენტად კლეველენდის არჩევანმა ბევრი ახირებული ამბავი გამოიწვია ამერიკელთა ცხოვრებაში. აი სხვათა შორის ერთი ამისთანა ამბავი: პრეზიდენტის ამორჩევის წინად ერთი დიდად გატაცებული ახალგაზრდა ქალი ლოურენსში დანაძლევებია ერთ ქალაქის მოურავს—კლეველენდის ამორჩევის შესახებ და პირობა მიუცია მოურავისათვის, თუ წააგებ სანაძლევო, იმ კაცს გავყვები ცოლად, ვისაც დამისახელებო. ქალმა წააგო სანაძლევო და ქალაქის მოურავის სურვილით ვიღაც უცნობ კაცს მისთხოვდა.

— მუშებისა და ნამეტურ კარგის მუშების გაფიცვა მკურნალთაც გადაედოთ პარიჟში. სტუდენტი სალმონი დაუთხოვნია მთავრობას ამას წინად სასწავლებლიდგან მხოლოდ იმისათვის, რომ თავი თურმე არ დაუკრა ქალაქის ხმოსანს ბ-ნ სტროსს. ამისათვის 60 ექიმი დიდის ხმაურობით ერთად შეუდგან ქალაქის საბჭოში. და ავადმყოფობა სულ მიუღეწ-მოუღეწიათ.

— ირლანდიის სამხრეთ წყალ დიდობისა გამო ერთი შავი ხევი მოვარდა და ქალაქ ფერმოას უმეტესი ნაწილი წალეკა. გაზის ქარხნებმა ვეღარ მოახერხეს მუშაობის გაგრძელება. ზარალი დიდიაო.

---

**ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ**

23 ნოემბერს, ღამის მატარებლით გამოვიგზავნე ოზურგეთიდამ პატარა ბავშვი, რომელსაც მოჰქონდა 25 „ვეფხის-ტყაოსანი“. (ამ წიგნებს პირველი სახევი გვერდი (ანიორტკა) არ აქვს შემოკრული) და რამდენიმეც სხვადა-სხვა წიგნები... ბავშვმა მატარებლიდგან გადასვლ-გადმოსვლით თუ ძილისაგან დავიწყებით, წიგნები დაჰკარგა.

ამიტომ ვატყობინებ პატივცემულთ იმ დღევანდელ მგზავრთ და რკინის გზის მოხელეთ, რომ წიგნები ჩემია, და იმედი მაქვს, თუმც სინდისიერს კაცს ჩაუვარდა ხელში, ჩემს წიგნებს დამიბრუნებს, მხოლოდ ორ ნაწილს, და მესამედი-კი, როგორც მონამხეებმა, თავისთვის დაიტოვოს; ჩვენ მაინც დიდი მადლობელი ვიქნებით.

კ. თავართქილაძე

ახალ-სენაკი

---

# დეპეშა

1 დეკემბერი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** გამოცხადებულია უპირატესობანი სასოფლო-სამეურნეო სკოლის მმართველთა და მასწავლებელთა.

გუშინ ხელმწიფე იმპერატორი უკანასკნელად ინახულა გერმანიის ელჩმა შვეინიცმა და შემდეგ ხელმწიფე იმპერატრიცასაც გამოეთხოვა. მეხუთე კორპუსის კომანდირი გენერალ-ადიუტანტი სვისტუნოვი თავისისავე თხოვნით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, მუნდირითა და პენსიით.

**ᲞᲐᲠᲘᲟᲘ.** პანამის საქმეში კიდევ სხვა დანაშაულობანი აღმოჩნდა: გამოქვეყნდა ზოგი ერთი არა საკადრისი საქციელი რადიკალთა დასის მეთაურ კლემანსოსი, გერცისა და ფინანსთა მინისტრის რუვიესი; რუვიემ უკვე სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი შეიტანა.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** რეიხსტაგის დღევანდელ კრებაზედ ნაციონალ-ლიბერალმა განოვერის ობერ-პრეზიდენტმა ბენიგსონმა სთქვა: არა მგონია, რომ რეიხსტაგმა სამხედრო კანონ-პროექტი სრულიად და სავსებით დაამტკიცოს, თუმცა გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ საჭიროა, სრული თავისი ძალ-ღონე მოიკრიბოს; ამიტომ უკეთესი იქნება, რომ მთავრობამ მხოლოდ იმის დამტკიცება მოსთხოვოს რეიხსტაგს, რის დამტკიცებაც აუცილებლად საჭიროა. დეპუტატმა პრეისინგმა სთქვა, რომ ბავარიაში სამხედრო კანონ-პროექტმა უკმაყოფილება გამოიწვია და ამიტომ ძნელად თუ ბავარიის ფრაქცია დასთანხმდეს ამ კანონ-პროექტის მიღებასაო.

2 დეკემბერი

„Бирж. Вѣд." სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს გადაუწყვეტია, მომატებულ იქმნას აქციზი შაქრის ფხვნილზედ ფუთზედ 2 მანათამდე.

**კალკუტა.** ნიზამ-ულ-მულკმა სრულიად დაამარცხა შირ-აზზულ-ხანი და ჩიტრალი დაიმორჩილა; ავღანის ემირი პაგნანიდგან კაბულს დაბრუნდა.

**პარიჟი.** დღეს „ვაგრამ"-ის დარბაზში მოხდა პანამის საქმის წინააღმდეგი მიტინგი კელლერის თავმჯდომარეობით. მიტინგს კონსერვატორთა დასის რამდენიმე დეპუტატიც დაესწრო; სოციალისტთა აუარებელმა ბრბომ უწესოება მოახდინა და მიტინგის გათავების დროს ერთი ყუმბარაც ააფეთქა. ამას შემდეგ მიტინგი დაიშალა. მეორე მიტინგის გათავების დროს (მონპარანსში) სოციალისტებმა ქუჩაში მანიფესტაცია მოახდინეს ხანჯლებით რამდენიმე პოლიციელი დასჭრეს და რევოლვერებიც გაისროლეს. სამი პოლიციელი მძიმედ დაჭრილია; პოლიციის კომისარის თანიშემწეს ტყვია ბარძაყში მოხვდა. ეს ამბავი მოხდა Cerde Catholigue-ს წინ, სადა დროებით სამკურნალოა გამართული. უწესოების გამო მოწვეულ ჟანდარმებმა ბევრი სოციალისტი შეიპყრეს; უწესოების დროს დაიჭრა 30-მდე კაცი, ამათში 5 პოლიციელია.

პეტერბურგის ბირჟა, 1 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,99 | 8,02 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 | 160¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 გირ. | 5 | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | 4 | „ |
| „ „ 2 „ „ | „ | 3½ | |
| „ „ 3 „ „ | „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | 5 | კ. |
| „ „ „ 2 | „ | 4 | „ |
| „ „ „ 3 | „ | 3½ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. | 1 გ. | 7 | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | 5 | „ |
| მე-3 „ „ „ | „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | 7 | კ. |
| „ „ 2 | „ | | „ |
| სუკი — — — | | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | | 7 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. | გ. | | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | | | „ |

**განცხადებანი**

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ
ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
АДЕЛЬГЕЙМЪ
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

(22—1)

„ქართველთა ამხანგობის"

წიგნის მაღაზიაში და ამხანაგობის აგენტებთან ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ილ. ჭავჭავაძისა.

ფასი

I ტ. ლექსები და პოემები, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი . . . 1 მ. 20 კ.

იგივე ყდით და კარგ ქაღალდზედ . . . 2 მ. 50.

II ტ. მოთხრობები . 1 მ. „

იგივე კარგ ქაღალდზედ და ყდით . . . 2 მ. 50.

IV ტ. „იზა" რომანი ბუვიესი, თარგმანი . . 1 მ. 60.

იგივე, კარგ ქაღალდზედ 2 მ. 50.

თხზულებანი ყაზბეგისა:

I, II, III და IV ტ. ამ ტომებში მოთავსებულია სხვათა შორის: ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი, ელისო, ხევის ბერი, გოჩა და სხვ. . 4 მ. 80.

ცალკე თითო ტომი . 1 მ. 20.

იგივე, კარგ ქაღალდზედ და ყდით, ოთხი ტომი . 9 მ. 50.

ცალკე თითო ტომი . 2 მ. 50.

თხზულებანი ი. დავითაშვილისა, ავტორის სურათით . „ 80.

იგივე ლამაზის ყდით . 1 მ. 25.

„ბნელო" მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . „ 40.

იგივე, ლამაზის ყდით . „ 90.

სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . „ 20.

ხალხური ზღაპრები წ. I „ 30.

იგივე, ლამაზი ყდით . „ 75.

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . „ 15.

სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . . 1 მ. 20.

იგივე ყდით . . . 1 მ. 40.

„ჩანგი" . . . . 1 მ. „

კედლის კალენდარი 1893-წლ. . . . . „ 40.

„წერა-კითხვის საზოგადოების"

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ივერია"

1893 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверія".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფოტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმიარაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული. ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეიგამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—48)

Доз. ценз. Тифлисъ, 2-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.